

## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 012/18<sup>1</sup> რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

*სტუდენტი ქრისტინე მაისურაძე*

### შეკითხვა:

ადვოკატის მიერ იმ პირის დაცვა, რომელიც მისი მეგობრის მოწინააღმდეგე მხარეს წარმოადგენს სასამართლო დავაში რამდენად ეთიკურია და ხომ არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს?

### სამართლებრივი შეფასება:

ეთიკის კომისია აღნიშნული საკითხის შეფასებისას დაეყრდნო ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (შემდგომში „ეთიკის კოდექსი“) 6.2, 6.4 და 4.1 მუხლებს და ასევე ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 8.1 და 7.ა მუხლებს.

ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება წარმოიშვას არსებულ კლიენტებს შორის, კლიენტსა და მესამე პირს შორის, პირადად ადვოკატსა და კლიენტს შორის, ყოფილ კლიენტსა და არსებულ კლიენტს შორის. ინტერესთა კონფლიქტის არსებობის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის წარმოშობის განსაზღვრა.

ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა თუ ადვოკატის მიერ განხორციელებულ წარმომადგენლობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატის პირადი ინტერესი ან ვალდებულება კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან მესამეპირის მიმართ.

განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატს მიმართა პირმა კონსულტაციისათვის, რომელმაც შესაძლებელია მას გაანდოს იმ საქმის თაობაზე ინფორმაცია, რომელშიც მოწინააღმდეგე მხარეს კონსულტაციის გამცემი ადვოკატის მეგობარი წარმოადგენს. აღნიშნული ინფორმაცია წარმოადგენს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას მოპოვებულ ინფორმაციას და მასზე გავრცელება კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება. ამ შემთხვევაში თავად ადვოკატმა უნდა შეაფასოს რისკები, რაც იმ პირისათვის საადვოკატო მომსახურების გაწევას ეხება, რომლის მოწინააღმდეგე მხარეც მისი მეგობარია და ის ფაქტი რამდენად უპირისპირდება მეგობრის ინტერესები თავისი კლიენტის ინტერესებს.

### დასკვნა:

ადვოკატმა თავად უნდა განსაზღვროს გავლენას მოახდენს თუ არა მის პროფესიულ საქმიანობაზე მეგობრის წინააღმდეგ წარმომადგენლობის განხორციელება, რამდენად შეექმნება საფრთხე მისი კლიენტის ინტერესებს და ხომ არ წარმოშობს ეს ფაქტი ეჭვს მის მიუკერძოებლობაში. მხოლოდ ის გარემოება, რომ კლიენტის მოწინააღმდეგე მხარე ადვოკატის მეგობარია არ წარმოადგენს საკმარის და უპირობო საფუძველს იმისათვის, რომ დადგინდეს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.

1.

<https://www.gba.ge/pdf/5c74017b2ad6a.pdf/012.18opinion%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A6%E1%83%98%2022.11.18.pdf>